# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 429/06

**გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ**

**ქ. თბილისი** **03.05.2018 წელი**

ერთის მხრივ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი''), და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე ტარიელ ჩოხელი (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მედიაციის აკადემიური გაძლიერების საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის $10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად მოწვეული სტუმრებისთვის ბანკეტით მომსახურების (წარმომადგენლობითი ხარჯი CPV:55300000) შესყიდვა.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

| დასახელება | რაოდენობა | ერთეული | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|
| ბანკეტით მომსახურება | 60 პერსონა<br>6 დღე | 6.55 | 2360.00 |
| მენიუს ჩამონათვალი და მოცულობა იხ. დანართი #1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს | | | |

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით დღგ-ს გარეშე შეადგენს: 2360.00 ლარს (ორიათასსამასსამოცი ლარი).

**3. ხელშეკრულების კონტროლი**

**3.1.** ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი ი. ბურდული.

**3.2.** ინსპექტირება გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის და ხარისხის კონტროლს.

**3.3.** მომსახურების გაწევისას გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

**4.1.** გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

**4.2.** ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების - აქტის (მიღება - ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის), მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის საფუძველზე, ზემოაღნიშნული დოკუმენტების სრულყოფილი სახით გაფორმებისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის ი. ბურდულის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

**5.1.** შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ერთჯერადად, მომსახურების სრული მოცულობით გაწევის შემდეგ, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტით განსაზღვრული საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის ი. ბურდულის დადებითი დასკვნის საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

**6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები**

6.1. მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას განახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №1.

6.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2018 წლის 5-6 12-13 19-20 მაისი.

**7. ხელშეკრულების პირობების შესრულება**

**7.1.** თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2 % ოდენობით.

**7.2.** თუ შემსყიდველი არ ასრულებს ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს მას პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.2 % ოდენობით.

**8. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა**

**8.1.** ხელშეკრულება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო რეგისტრაციის შემდეგ და მოქმედებს ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების ამოწურვამდე 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

**9. სხვა პირობები**

**9.1.** ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**9.2.** ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან“, ორი - ,,შემსყიდველთან“.

**10. მხარეთა რეკვიზიტები**

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| **ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** | **ინდ. მეწარმე** |
| **მისამართი:** თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1 | **მისამართი:** თბილისი, მუჯირიშვილის #12 |
| **საბანკო რეკვიზიტები:** სახაზინო სამსახური | **საბანკო რეკვიზიტები:** ქ.თბილისი, ბანკი ქართუ |
| მეცნიერების აკადემიური გაძლიერების საგრანტო პროექტი | **ა/ა** GE54CR0030086127573602<br>**ბანკის კოდი:** CRTUGE22 |
| **საიდენტიფიკაციო კოდი:** 204864548 | **საიდენტიფიკაციო კოდი** 01011012425 |
| **ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** | **ინდ. მეწარმე ტარიელ ჩოხელი** |
| /ნ.ოვსიანიკოვა/ | /ტ.ჩოხელი/ |

დანართი №1 ხელშეკრულება №429 /06 03.05.2018წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| ყველი შვეიცარიული | ცალი | 60,0000 | 90,0000 |
| ხორცის რულეტი | ცალი | 80,0000 | 120,0000 |
| ყავა | ცალი | 80,0000 | 144,0000 |
| ქათმის მწვადი | ცალი | 100,0000 | 200,0000 |
| ხიზილალა | ცალი | 100,0000 | 200,0000 |
| ჩაი | ცალი | 80,0000 | 120,0000 |
| ნამცხვარი | ცალი | 360,0000 | 396,0000 |
| ლორი | ცალი | 100,0000 | 150,0000 |
| პიცა | ცალი | 80,0000 | 120,0000 |
| ძეხვი | ცალი | 60,0000 | 90,0000 |
| სოსისი ფენოვანში | ცალი | 100,0000 | 100,0000 |
| ლობიანი | ცალი | 100,0000 | 100,0000 |
| ხილის ასორტი | ცალი | 12,0000 | 120,0000 |
| ლორი ყველით | ცალი | 80,0000 | 120,0000 |
| ხაჭაპური | ცალი | 100,0000 | 150,0000 |
| წვენი | ცალი | 22,0000 | 110,0000 |
| წყალი | ლიტრი | 30,0000 | 30,0000 |
| | | სულ | 2360 |

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

/ნ.ოვსიანიკოვა/

ი.მ. ტარიელ ჩოხელი

/ტ.ჩოხელი/

# ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

03.05.2018წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ იგი არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში ი.მ. „ტარიელ ჩოხელი"-სთან.

| | |
|---|---|
| თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | ნ.ოვსიანიკოვა |
| თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე: | ლ. საღინაძე |
| თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი | ი. საღარეიშვილი |
| თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი | ა .კუკულავა |
| თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი | ს. სანაძე |
| თსუ შესყივების განყოფილების მთავარი სპეციალისტი | ჯ. ციციშვილი |